

**კედლი მასალები**

**როცა მართვლ  
მიწას პატრიტი  
არ ჰყავს!**

**ანზორ მესხიშვილი**

**როდე ქართულ მიწას  
პატრონი არ ჰყავს!**

თბილისი  
2017

## **ანზორ მესხიშვილი:**

**„როცა ქართულ მინას პატრონი არ ჰყავს!“.**

**გამოცემა „ივერიონი“. თბილისი, 2017. გვ. 48**

წინამდებარე ბროშურის ავტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დო-  
ქტორი, დამოუკიდებელი ექსპერტი უძრავი ქონების საკითხებში ბა-  
ტონი ანზორ მესხიშვილი ის ადამიანია, ვინც ათეულობით წელია  
ხმალამოლებული იბრძვის ქართული მიწის, როგორც ქართველი ერის  
ფასდაუდებელი სიმდიდრის გადასარჩენად.

მის ადრინდელ ბროშურებში: „როდესდე ვჯიჯანოთ ქართუ-  
ლი მინა“, „ჩემო ქართულ მინავ“ და ფუნდამენტური ნაშრომში  
„ნინადადებები საქართველოს აგრძანული სექტორის განვი-  
თარების სტრატეგიისათვის“ კვალიფიციური სპეციალისტის პი-  
რუთვნელ შეფასებასთან ერთად აშკარად იგრძნობა პატრიოტული სუ-  
ლისკვეთება, რომელიც უტყუარ რეკომენდაციებთანაა შეზავებული.

ბატონი ანზორი ხმამალლა საუბრობს იმაზე, თუ რა საშიშროება  
ელის ქართულ მინას, თუ ყური არ გამოვიბერტყყეთ და ერთ სულ და  
ერთ ხორც არ შევიკვრებით ამ უნიკალური და შეუცვლელი ეროვნული  
საუნჯის გადასარჩენად.

**„როცა ქართულ მინას პატრონი არ ჰყავს“** მისი მორიგი ღალ-  
ადისია. წაიკითეთ და ბევრ რამეზე აგეხილებათ თვალი.

**ზაურ ნაჟყვაბია,  
რედაქტორ-გამომცემელი**

**რედაქტორი:** **დიმიტრი მესხიშვილი,**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

**რეცეზენტი:** **ომარ ქეშელაშვილი,**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
აკადემიკოსი.

**რედაქტორ-რეცეზენტი:** **პაატა კოლუაშვილი,**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
აკადემიკოსი.

**რედაქტორ-გამომცემელი:** **ზაურ ნაჟყვაბია**

ISBN 978-9941-0-9818-5

## ნინათქმა

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა. განსაკუთრებით, იმედი მქონდა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა შეძლებდა საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სოფლის მეურნეობის ძირითად პროდუქტებზე.

რატომლაც მჯეროდა, რომ საქართველოს მიწებს გაუჩნდებოდა გონიერი პატრონი და სოფლის მეურნეობის იმდენ პროდუქტებს ვაწარმოებდით, რომ არა მარტო რესპუბლიკის მოთხოვნებს დავაკმაყოფილებდით, არამედ, საზღვარგარეთაც გავიტანდით.

რა მივიღეთ? საკუთარ მოთხოვნილებას მხოლოდ 25-30 პროცენტითვიკმაყოფილებთ.

1991-1993 წლებში საქართველოში სამოქალაქო არეულობის შედეგად ყველაზე მეტად დაზიანდა საქართველოს სოფლის მეურნეობა. ქართული სოფლის მოსახლეობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

1992 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღო დეკრეტი (29) „საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის განხორციელების, სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის შესახებ”.

დადგინდა: სახელმწიფო მეურნეობები, კოლმეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ვალდებული არიან 1992 წელს გაატარონ რეორგანიზაცია. რაც არ შესრულდა. ნაცვლად სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ბაზაზე გლეხური (ფერმერული) მეურნეობების, კომპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, აგროფირმების, აქციონერული საზოგადოებების, კომპერატივების შექმნისა, დაიწყო ქონების დატაცება – განადგურდა მეცხოველეობის კომპლექსები, მეფრინველეობის თანამედროვე

ფაბრიკები, მელორეობის კომპლექსები, ვეტერინალური მომსახურების სადგურები, ჯიშთა გამოცდის და სასელექციო სადგურები, მანქანა-ტრაქტორთა პარკის სადგურები, დაინტ ტრაქტორების ქურდობა და ჯართში ჩაბარება... მეტიც, ათი გრამი სპილენძისთვის მწყობრიდან გამოჰყავდათ ძვირად ღირებული მოწყობილობები... ქარხნებსა და ფაბრიკებში უნიკალური დაზგა-დანადგარებს ჩალის ფასად ყიდდენ თურქეთსა და ირანში. ლიკვიდაცია გაუკეთდა სოფლის მეურნეობის დარგის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბარატორიებს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ განადგურდა მევენახეობა-მელვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან არსებული 400-ზე მეტი უნიკალური ვენახის ჯიშების სანერგე მეურნეობა. კატასტროფულად შემცირდა ნათესი ფართობები, განადგურდა ჩაის ნარგავები, შემცირდა ვენახის, ციტრუსების, ხეხილის, და სხვა სოფლო-სამეურნეო კულტურები. მოიშალა (შიძლება ითქვას განადგურდა) სოფლის მეურნეობის დარგის ინფრასტრუქტურა, თესლბრუნვები, მრავალწლიანი ნარგავების ნერგების წარმოება, ხელოვნური დათესვლის სადგურები, თესლის ხარისხისა და აღმოცენების დადგენის სამსახურები. ამასთან კატასტროფულად შემცირდა მარცვლის, ხილის, ყურძნის, ჩაის, ხორცის, კვერცხის, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება და დამზადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, დაინტ დაშრობილი ფართობების მეორადი დაჭაობება, მოიშალა სარწყავი სისტემები, მიწიდან იღებდენ სარწყავ მილებს და ჯართში აბარებდნენ — გორისა და ქარელის რაიონებში მოიშალა ათასობით ჰექტარი დაწვიმებითი სარწყავი სისტემა, მალხაზის წვერზე მოწყობილი სრულიად ახალი, უახლესი ტექნოლოგიით მოწყობილი დაწვიმებითი სარწყავი სისტემა ჯართში ჩაბარდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო სილნალის რაიონის წნორის კომპლექსის დაწვიმებით სარწყავ სიტემაზე, ჯართში ჩაბარეს ფრეგატების დაწვიმებითი სარწყავი დანადგარები. ქურდობა იმ დონეზე მივიდა, რომ სოფლებში ელექტროსადენებს იპარავდენ და ჯართში აბარებდენ. საქართველოს ტყეებში შეწყდა

ტყეთმოწყობის სამუშაოების განხორციელება, მოიშალა მცენარეთა დაცვის სამსახურები, ხეები დაავადდა, აღარ ტარდებოდა სანიტარული და მოვლითი ჭრები, დაიწყო ტყეების უსისტემო ჩეხვა-განადგურება.

საქართველოში 1992-1998 წწ ჩატარებული ნაჩეარევი და გაუაზრებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შედეგად საქართველოს სახნავი მიწები და მრავალწლიანი ნარგავები დაქუცმაცდა და განიავდა.ასეთმა მდგომარეობამ არა მარტო ხელი შეუშალა სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში, არამედ საქართველო უკან დასწია და ლარიბ, არსებობაზე ორიენტირებულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებად აქცია. მიწების ასეთი დანაწევრების შედეგად შეუძლებელია მექანიზაციის, გერბიციდების, სასუქების, შხამ-ქიმიკატებისა და სხვა სამუშაოების ეკონომიკურად, რაციონალურად გამოყენება. ასეთ პირობებში უაღრესად დაბალია შრომის ნაყოფიერება.

2005 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთამიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს.

მას შემდეგ, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე (ჩვენის აზრით), ქართული მიწის ღალატის ფასად 2004 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ გააუქმა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული მიწათმოწყობის სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევისა და სხვა მიმდინარე სამუშაოები.

სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მიწათმომწყობთა კადრების გამოშვება. მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში

დღემდე არ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰქექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას — მათ შორის რამდენია კერძო, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით. არ ვიცით, რამდენი ჰქექტარი ვენახი, ხილის ბალები, ჩაი, ციტრუსი და სხვა კულტურები გვაქვს. არ არის დაზუსტებული საზღვრები რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან. საინტერესოა საქართველოს-სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2012 წელს როგორ შეიმუშავა: „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012- 2022 წ.წ.”, როდესაცარ იცის რამდენი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს კულტურებისა და საკუთრების მიხედვით?!

დღეს ძნელად წარმოსადგენია სხვა რომელიმე ქვეყანა, სადაც მთავრობას მხოლოდ პრივატიზებული (ან საპრივატიზებო) მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები აინტერესებდეს და არ იცოდეს, როგორ იცვლება ქვეყანაში მიწის კატეგორიები — სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, რაც აქტუალური გახდა სავარგულის თითოეულ სახეზე გადასახადის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო. რა საზღვრებში რჩება საქართველო (ოთხი მოსაზღვრუ ქვეყნიდან სამთან დღემდე არ გვაქვს დადგენილი სახელმწიფო საზღვარი) და მისი ცალკეული მხარეები და რაიონები. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რა რაოდენობა წავიდა ქალაქშენებლობის, გზებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის და ა.შ., რაც მიწის მართვისა და რაციონალური გამოყენების საფუძველთა საფუძველია.

დღემდე უცნობია, რა ცვლილებები მოხდა მიწათსარგებლობაში 2004 წლიდან განვლილ პერიოდში, როგორ გამოიყენება მიწის სავარგულები, აქედან, რამდენია დაქვემდებარებული ქარისმიერ თუ წყლისმიერ ეროზიას, რა უნდა გაკეთდეს მიწის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, რატომ, ან რა მოტივით გააუქმა ხელისუფლებამ მიწის მართვის სამსახური და მიწის ბალანსის შედგენის ყოველწლიური პრაქტიკა...

დღეს საქართველოს არცერთი კანონმდებლობა არ იცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს დაქუცმაცებისგან და გაუბედურებისგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ნაცვლად იმისა, რომ მიწებს იცავდეს დაქუცმაცებისგან, პირიქით, ხელს უწყობს დაქუცმაცებას. (მემკვიდრეობის სამართალი).

2011 წლიდან მასიურად დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გადაყვანა უფასოდ, გარდა თბილისისა და ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრების რაიონებში მოქცეული მიწებისა და ბახმარო, ბაკურიანი, გუდაური და ურეკის რეკრეაციულ ზონებში მოქცეული მიწებისა. ასევე დაიწყო უცხოეთის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვა, რაც ჩემის აზრით საქართველოს დალატის ტოლფასია.

ქართული მიწა ასე ხელაღებით უცხოელებზე არ უნდა იყიდებოდეს. საქართველოს კანონმდებელს არა აქვს უფლება ქართველი ერის (საქართველოს მოქალაქეთა კრებულის) ამბედნიერ მემკვიდრეობას, მის წინაპართა სისხლით დაცულს თუნდაც ერთი გოვი მოაკლოს. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, როგორც საცხოვრისის ისტორიულად ჰარმონიზებული ერთიანი სისტემა ვერ იფუნქციონირებს მისი ნაწილ-ნაწილ ხელყოფის (გასხვისების) შემთხვევაში.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ერის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობაა. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან, არც მისდამი საზოგადოებრივი ინტერესებისა და სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიწნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება.

დღეს ქართულ მიწას შინაური, თუ უცხოელი ისე ჯიჯგნის, რომ არავინ არავის არაფერს არ ეკითხება — არ ეკითხებიან ჩვენს მარჩენალ მიწაზე დამკვიდრებულ გლეხს, არ ეკითხებიან საქართველოს

საზოგადოებას და რაც საოცარია, არ ითვალისწინებენ უწმინდესი და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აზრს.

ამ ბროშურის მიზანია მკითხველს გავაცნოთ საქართველოს მიწის რესურსების ისტორია, საქართველოს ნიადაგები, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზოგიერთი საკითხები და მიწაზე ქონების გადასახადები. თუ მკითხველს ზემოთ მოყვანილი ფაქტების საფუძვლიანად გაცნობა დააინტერესებს, ვთხოვ, იხილოს ჩემი გამოცემული წიგნები: „როდემდე ვჯიჯვანოთ ქართული მიწა“, „ჩემო ქართულო მიწავ“ და ნაშრომი: „წინადადებები საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიისათვის“. აღნიშნული ჩემი წიგნები გაყიდვაში არ ყოფილა. ის დაურიგდა ჩემს კოლეგებსა და მეგობრებს. მათი გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ყველას წინასწარ მადლობას ვუხდი, ვინც თავიანთი შენიშვნებითა და საქმიანი წინადადებებით გამომეხმაურება. წინასწარ ვიტყვი, რომ ზოგიერთი ციფრობრივი მონაცემები ქვემოთ მოცემულ წიგნში ზუსტი არ არის, რადგან მათი დაზუსტება ჩემთვის შეუძლებელი იყო, რადგან სხვადასხვა წყაროში, სხვადასხვა მონაცემებია აღნიშნული.

**ანზორ მესეიშვილი**

**ტ. 599 92 55 53**

## შესავალი

მიწა ადამიანის ყველა სახის საქმიანობის საწყისი და საფუძველია, მისგან ვიღებთ საკვებს, თავშესაფარს, ადგილს სამუშაოდ, ოთახს დასასვენებლად, ნინდახედულად და დაკვირვებით მიწის მართვის აუცილებლობას, მისი რესურსების უფრო ინტენსიური გამოყენება და მართვა ქმნის ერთიან საერთო გლობალურ საზრუნავს. მიწა არის კეთილდღეობის მატერიალური საფუძველი იმიტომ, რომ ის არის სოფლის მეურნეობაში წარმოების ძირთადი საშუალებაა.

მიწის ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საწარმოთა და დარგების რაციონალური გადაადგილებისთვის. იგი შეუცვლელი წარმოების ძირითად საშუალებაადა სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. მიწა წარმოგვიდგება, როგორც შრომის საგანი, იარაღი და საშუალება. მას როგორც წარმოების ძირითად საშუალებას გააჩნია სპეციფიკური თავისებურებები, რაც განასხვავებს სხვა ძირითადი საშუალებებისაგან. დედამიწაზე დამუშავებაში არსებული მიწების 40% გამოყენებულია არა დანიშნულებით და არა ეფექტურად. მცდარია მსოფლიოში დამკვიდრებული აზრი, რომ მიწა არ განიცდის ცვეთას!

დედამიწაზე მოსახლეობის ზრდის გათვალისწინებით უახლოეს პერიოდში (50-70 წლის შემდეგ) მოსალოდნელია სერიოზული საშიშროება, რომ დამუშავებაში არსებული მიწები ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის 30%-ს არა თუ სრულყოფილად, არამედ საერთოდ გამოკვებას — დედამიწა განიცდის ცილის მწვავე დეფიციტს. მისი მოსახლეობის 80% ვერ ღებულობს ყოველდღიური საკვების რაციონში ცილის ფიზოლოგიურ ნორმის შესაბამის რაოდენობას.

როგორც წარმოების საშუალებას — მიწას, ხელოვნურად შექმნილი წარმოების საშუალებებთან შედარებით აქვს თავისი სპეციფიკური ნიშნები.

ჯერ ერთი, ნიადაგი წარმოადგენს ბუნების პროდუქტს და ამიტომ საწყის მდგომარეობაში მიწას არ გააჩნია ღირებულება, რადგან მის შექმნაზე არ დახარჯულა ადამიანის შრომა (წარმოების სხვა საშუალებები შექმნილია შრომით და მათ გააჩნიათ ღირებულება).

**მეორე,** ხელოვნურად შექმნილი წარმოების საშუალებები შეიძლება აღდგენილ იქნან მათი ფიზიკური ცვეთის მიხედვით. დედამინის ნიადაგური საფარი აგრეთვე არის აღმდგენადი ბუნებრივი რესურსი, მაგრამ მისი ხელოვნურად აღდგენისთვის საჭიროა ასობით წელი, რაც ნიშნავს მის გამორიცხვას ინტენსიური სამეურნეო საქმიანობიდან და შეუძლებელს ხდის მის გამოყენებას დარღვეული ნიადაგური შრით მეტ-ნაკლებად შორეულ მომავალში. 2,5 სმ სისქის ნიადაგური შრის აღსადგენად საჭიროა 300-1000 წელი, ხოლო 18 სმ სისქის სახნავი ფენისა - 2-7 ათასი წელი. ამ მხრივ ნიადაგი უახლოვდება აღუდგენად ბუნებრივ რესურსებს. მინის სწორი გამოყენება, მისი ეკონომიკა და დაცვა საშუალებას იძლევა არა მარტო შევინარჩუნოთ ადრინდელ დონეზე მისი ბიოლოგიური პოტენციალი, არამედ არსებითად გავზარდოთ იგი.

**მესამე,** მინის თავისებურება როგორც წარმოების საშუალება არის ის, რომ წარმოების ერთ პროცესში შერწყმულია შრომის საგნის და საშუალების ფუნქციები. ამგვარად, მინა წარმოების პროცესში გამოდის არა მარტო როგორც ბუნებრივი რესურსი, არამედ როგორც თავისებური ნედლეული რესურსი. ნიადაგის დამუშავებით, ადამიანი წარმოების სხვა საშუალებებით ქმნის სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისათვის ზრდის ხელსაყრელ პირობებს. ამ შემთხვევაში მინა წარმოადგენს შრომის საგანს. ამავდროულად, ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გამოყენებით ადამიანი გავლენას ახდენს მცენარეების მოსავლის ფორმირებაზე. ამ შემთხვევაში მინა არის შრომის საშუალება.

**მეოთხე,** მინა როგორც შრომის იარაღი და საგანი ხასიათდება შეუცვლელობით ალტერნატიული რესურსების უქონლობის გამო, რომლის გამოყენება მოგვცემს სშუალებას დავაკამაყოფილოდ ადამიანის პირველხარისხოვანი მოთხოვნილებები.

მინის რესურსების, როგორც წარმოების საშუალებების დახასიათებისთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონალურ და ტერიტორიულ ასპექტებს.

**ჯერ ერთი,** სხვადასხვა რეგიონებში განლაგებული მინის ნაკვეთები ბუნებრივი თავისებურებების, ნიადაგის შემადგენლობის,

კლიმატის, რელიეფის, წყლის რესურსებით უზრუნველყოფის და ა.შ. გამო შეიძლება არსებითად განსხვავდებოდნენ თავისი პრო-დუქტიულობით.

ასეთი განსხვავება წარმოადგენს უკეთეს მიწებზე დამატებითი შემოსავლის შექმნის საფუძველს, რაც გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობაში სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე, მოითხოვს არა-სასოფლო მიწათმოსარგებლეებთან ურთიერთობების დარეგულირებისთვის მის აღრიცხვას.

**მეორე**, მიწის რესურსები სივცობრივად შეზღუდულია და მათი გაზრდა თავისუფალი სავარგულების გამოლევის შეთხვევაში შეუძლებელია, წარმოების სხვა საშუალებებთან განსხვავებით.

**მესამე**, მიწის რესურსები, ხისტადაა მიბმული გარკვეულ რეგიონზე, მათთვის დამახასიათებელია გარკვეული ადგილმდებარეობა, რაც იწვევს აღნიშნულ რეგიონში მიწათსარგებლობისთვის წარმოების სპეციალური საშუალებების შექმნის აუცილებლობას, რეგიონთაშორისი კავშირებისთვის ინფრასტრუქტურის სისტემის განვითარების და ა.შ.

ჩვენი პლანეტის საერთო ზედაპირი შეადგენს 510 მლნ კმ<sup>2</sup>. მისი უმეტესი ნაწილი - 361 მლნ კმ<sup>2</sup> (71%) - დაფარულია წყლით, ხმელეთზე რჩება 149 მლნ კმ<sup>2</sup>. მსოფლიოში 1.5 მილიარდი ჰექტარი სათესი ფართობია, აქედან, დეგრადირებულია 38%. საძოვრები 3.4 მილიარდი ჰა დეგრადირებულია 73%.

განვითარებულ ქვეყნებზე მოდის 26 მლნ კმ<sup>2</sup>, განვითარებად ქვეყნებზე - 74 მლნ კმ<sup>2</sup>, ანტარქტიდის მატერიკებზე - 14 მლნ კმ<sup>2</sup>. ხმელეთის ერთ მესამედზე მეტი - 51 მლნ კმ<sup>2</sup> - მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, მათ შორის 14 მლნ კმ<sup>2</sup> - სახნავებზე და 37 მლნ კმ<sup>2</sup> - საძოვრებსა და სათიბებზე. სასოფლო-სამეურნეო მიწების ხვედრითი წილი საერთო ფართობში შეადგენს ქვეყნების მიხედვით: აშშ - 53%, კანადა - 7, ბრაზილია - 28, არგენტინა - 65, ჩინეთი - 40, იაპონია - 16, ინდოეთი - 60, გერმანია - 50, საფრანგეთი - 63%. ეს განსხვავებები აიხსნება სხვადასხვა ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობებით (ცივი და თბილი კლიმატი, უდაბნოები, მთები და ა.შ.).

ბევრ განვითარებულ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობები მცირდება. ასე მაგალითად, 2000 წლის მონაცემებით, აშშ სავარგულების ფართობი შემცირდა 540 მლნ ჰა-დან 1960წ 492 მლნ ჰა-მდე - 1997წ, იაპონიაში 7-დან 5.6 მლნ-მდე, საფრანგეთში - 39-დან 35 მლნ-მდე, გერმანიაში - 14-დან 12 მლნ-მდე, იტალიაში - 22-დან 20 მლნ-მდე.

მოსახლეობის ზრდასთან ერთად ეს იწვევს მიწის საშუალო უზრუნველყოფის შემცირებას მრეწველობის, ტრანსპორტის, ქალაქების ზრდის ხარჯზე. ამჟამად მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე მოდის სახნავის 0.28 ჰა, აშშ - 0.63, ჩინეთში - 0.16, გერმანიაში - 0.15, ინგლისში - 0.13, იაპონიაში - 0.04 ჰა. საქართველოში ეს სიდიდე შეადგენდა 0.12 ჰა.

## საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

საქართველო მდებარეობს შავ და კასპიის ზღვებს შორის. დედამიწის ზედაპირის უნიკალური და მრავალფეროვანი ადგილებიდან ერთ-ერთ თვალწარმტაცი და უხვი საქართველოს მიწა-წყალია. მისი ტერტორია ჩრდილო განედის  $41^{\circ} 07'$ - $43^{\circ} 35'$  და აღმოსავლეთ გრძედის  $40^{\circ} 00'$  -  $46^{\circ} 44'$  შორისაა განლაგებული. ისტორიულად საქართველო საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვან გზაჯვარებინს წარმოადგენდა და დღესაც ინარჩუნებს ამ პერსპექტივას. ამასთანავე, ჩვენი ქვეყანა დღეს ენერგომატარებლების ტრანზიტის ანგარიშგასაწევ დერეფანს წარმოადგენს, რასაც ფრიად ფასეული როლი ენიჭება ევროპის ენერგო უსაფრთხოების პოლიტიკაში.

გარდა ამისა, პერსპექტიულია ქვეყნის გავლით როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის, ასევე ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით ენერგომატარებლების სატრანზიტო ახალი მეგა-პროექტების დაგემვა და განხორციელება. ჩრდილოეთით,

საქართველოს საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან დიდი კავკა-სიონის ქედზე გადის, რომელიც სიმაღლით 5000 მეტრს აღწევს, ხოლო სამხრეთ საზღვარი, რომელიც მას თურქეთისა და სომხეთის რესპუბლიკებისგან ყოფს, მცირე კავკასიონსა და ჯავახეთის ზე-განზეა გავლებული. დიდი კავკასიონი ყოველთვის ეროვნული თუ კულტურული თვითმყოფადობის სიმბოლოს წარმოადგენდა. გარდა ამისა, კავკასიონის მთები საქართველოს ჰიდრო-ელექტრო და სე-ტყის რესურსების, ასევე, ტურიზმის პოტენციალის განმსაზღვრელი ფაქტორია. საქართველოს დასავლეთ საზღვარს შავი ზღვის სანაპირო ქმნის, ხოლო აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, მას აზერბაიჯანის რესპუბლიკა ესაზღვრება.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო საუკუნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე ტყები გაიჩეხა, ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 40%-მდე ტყითაა დაფარული. ქვეყანას მნიშვნელოვანი ჰიდრო-ენერგორესურსი გააჩნია (რომელიც საქართველოს ელექტროენერგიაზე მოთხოვნის უდიდეს ნაწილს აკმაყოფილებს). ასევე, მოიპოვება სხვადასხვა სახეობის მინერალური წყლები, რომელთაგან რამდენიმე საერთაშორისოდ აღიარებული ბრენდია. სხვადასხვა დროს საქართველოში წარმატებით მოიპოვებდნენ მანგანუმს, ოქროს, ვერცხლს, სპილენძს და რკინას.

სასაზღვრო სივრცე ქვეყნის ტერიტორიის ნაწილია, რომელიც თავისი ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პირობებით უშუალოდ ემიჯნება სახელმწიფო საზღვარს და ქმნის სამხედრო თვალსაზრისით ტაქტიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებს. საქართველოს სინამდვილეში, მისი რელიეფის თავისებურებებიდან გამომდინარე, ამ სივრცის სიგანე საზღვრიდან პირობითად 15-20კმ-ს სიგანეზე ვარირებს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასაზღვრო ზოლი 500 მეტრია, ხოლო სასაზღვრო ზონა 5კმ-ს სიგანისაა, საქართველოს სასაზღვრო სივრცე მოქცეულია კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთ

ნაწილში, შავი ზღვის აღმოსავლეთით, ევროპასა და აზიას შორის სასაზღვრო სივრცე ძირითადად კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემის სამხრეთითა გადაჭიმული, მხოლოდ მთების ზილგახოხისა და შავკლდეს შორის მოქცეული მონაკვეთი გადადის ნაწილობრივ კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდზე (მდინარეების: თერგის, ასას, არღუნისა და სულაკის - ანდის ყუის უსაუზებში) ჩრდილოეთით უკიდურესი წერტილია - მთა აიბგა-650 მ. უკიდურესი სამხრეთი წერტილია - მინგეჩაურის წყალსაცავთან მდ. ივრის შესართავი - 83 მ. უკიდურესი აღმოსავლეთი მდ. ალაზანთან მდ. აგრიჩაის შესართავთანაა, ხოლო უკიდურესი დასავლეთი მდ. ფსოუს შესართავია შავ ზღვასთან. საზღვრის უკიდურეს წერტილებს შორის მაქსიმალური დაშორება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ 616,5 კმ-ა, მაქსიმალური სიგანე - 201 კმ-ა.

საქართველოს ტერტორიის დაყოფა მსხვილ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ერთეულებად და ბუნებრივ-სამეურნეო რაიონებად წარმოდგენილია შემდეგნაირად:

**შიდა ქართლის ბარი** - შიდა ქართლის ვაკის, მუხრან-საგურამოს, მტკვრის შუა ხეობის და კვერნაქების ბუნებრივ-სამეურნეო რაიონები;

**ქვემო ქართლის ბარი** - თბილის მარნეულის და რუსთავის ვაკის რაიონები;

**კოლხეთის ბარი** - კოლხეთის დაბლობის, იმერეთის დაბლობის, აჭარის ზღვისპირეთის. აფხაზეთის ზღვისპირეთის, იმერეთის ზეგნის და იმერეთის მაღლობის რაიონები;

**დასავლეთ კავკასიონი-რაჭა-ლეჩეზუმის** ქვაბულის, რაჭა-სვანეთის, დასავლეთ კავკასიონის მთიანეთის რაიონები;

**შუა კავკასიონი** - შუა კავკასიონი მთიანეთის რაიონები;

**აღმოსავლეთ კავკასიონი** - აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთის რაიონი;

**სამხრეთ მთიანეთი** - ახალციხის ქვაბულის, ჯავახეთის ზეგანის, თრიალეთის, ჯავახეთისა და მესხეთის მთიანეთის ბუნებრივ-სამეურნეო რაიონები.

საქართველოს ზღვისპირა მდებარეობა მნიშვლელოვან გავლენას ახდენს საერთოდ, მის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაზე. იგი საკმაოდ მთიანია. ზღვის დონიდან 500 მეტრამდე განლაგებულია მთელი ტერიტორიის 26.7%, 500-1000 მეტრამდე - 21.7%, 1000-1500 მეტრამდე - 19.1%, 1500-დან 3000 მ-დე - 31.0% და 3000 მ-ზე ზევით - 1.5%.

საქართველოს საზღვრის საერთო სიგრძე 2154კმ-ა, აქედან ზღვის სანაპირო ხაზის სიგრძე 315კმ-ა, ხოლო სახმელეთო საზღვარი 1839 კმ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფართობი 8,7 ათასიკმ2 (საქართველოსტერიტორიის 12,5 %)

სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ფართობი - 3,8 ათასი კმ. (საქართველოს ტერიტორიის 5,4 %).

საქართველო-თურქეთს ესაზღვრება 275კმ-ზე.

საქართველო-სომხეთის რესპუბლიკას ესაზღვრება 224კმ-ზე.

საქართველო - აზერბაიჯანის რესპუბლიკას ესაზღვრება 446კმ-ზე, აქედან, 190 კმ-ზე საზღვარი გადის მდინარე ალაზანზე.

საქართველო - რუსეთის ფედერაციას ესაზღვრება 894კმ-ზე.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჩვენმა ქვეყანამ მემკვიდრეობით მიღო ყოფილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კუთვნილი და გაეროს მიერ (1992 წ.) აღიარებული ტერიტორია, რომლის ფართობი 69,7 ათასი კმ2-ია. ზღვის შლეიფის ჩათვლით 76.3 კმ2-ია.

## საქართველოს მიწის რესურსები

საქართველოს მიწის ფონდი 2005 წლის მდგომარეობით (ჰექტარებში) 2005 წლის შემდეგ საქართველოში არ დაზუსტებულა მიწის ფონდი (არ გაკეთებულა მიწის ახალი ბალანსი) მოცემულია ცხრილში #1.

## ცხრილი # 1

სულ საქართველოს ტერიტორია	7628000	%
მათ შორის:		
სასოფლო-სამეურნეო სავარგული	3026300	39,67
სახნავი	802100	10,51
მრავალწლიანი ნარგავები სულ	264000	3,46
აქციან:		
ხეხილის ბალი	67300	0,88
ვენახი	67500	0,88
ჩაი	55300	0,72
ციტრუსები	27700	0,36
თუთა		
(პა)	5500	0,07
(ძირი)	2900	0,03
დაფნა	2500	0,03
ტუნგი	5200	0,07
კაკლოვანი	8700	0,11
სხვა დანარჩენი	24300	0,31
სათიბი	143500	1,88
საძოვარი	1796600	23,55
მათ შორის:		
არასასოფლო-სამეურნეო სავარგული	3857200	50,57
ტყე	2838300	37,23
მინდორსაცავი ტყის ზოლები	11500	0,26
ბუჩქნარი	154700	2,03
ჭაობი	17100	0,22
წყლით დაკავებული მინა	876500	11,48
აქციან:		
მდინარეები და ნაკადულები	91300	1,19
წყალსაცავები	17900	0,23
მყინვარები	21300	0,27
ტბები	17500	0,22
ტბორები	1000	0,01
მაგისტრალური არხები და შიდა		
ქსელები	49000	0,64
ტერიტორიული წყლები	678500	8,89
გზებით დაკავებული მინა	291200	3,81
შენობებით დაკავებული მინა	108100	1,41
სხვა დანარჩენი გამოუყენებელი მინა		
სულ	298900	3,91
აქციან:		
კლდეებით დაკავებული	18400	0,24
ქვიშრობებით დაკავებული	2400	0,03
ხრამებით, ხევებით დაკავებული	171300	2,24
სასაფლაოებით დაკავებული	4100	0,05
ეროზიული და დამეწყრილი	102700	1,34

საქართველოს ტერიტორია 7 628 000ჰა. სასოფლო-სამეურნეო სავარგული 3 026 300 ჰა. (39.7%) სახნავი 802 000ჰა.(10.5%) მრავალ-წლიანი ნარაგავები 264 000ჰა.(3.5%), სათიბი 143 500(1.9%), საძო-ვარი 1 796 600ჰა. (23.6%), ტყე 2 838 300 ჰა(37.2%)

საქართველოში მთელი ტერიტორიის 54% უკავია მთებს, 33% მთის წინებს, მხოლოდ 13% არის დაბლობი. საქართველოში მთელი ტერტორიის 44% გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. საქართვე-ლოში სასაოფლო-სამეურნეო სავარგულებში სახნავია 26%. ერთ სულ მოსახლეზე სახნავი არის 0.12ჰა. სასოფლო-სამეურნეო დან-იშნულების სავარგული 0.62ჰა. ნორმით საჭიროა 0.3-0.5ჰა სახნავი მიწა (მსოფლიოში საშუალოდ მოდის 0.3ჰა). საქართველოში 26060 მდინარეა საერთო სიგრძით 60 000კმ. აქედან, შავ ზღვაში ჩადის 18109 მდინარე, კასპის ზღვაში 7951 მდინარე. მდინარეების საშუ-ალო სიგრძე 2.3 კილომეტრია. ჩვენთან 860 ტბაა. ტბების სარკის ზედაპირის ფართობი 170 კმ<sup>2</sup>-ი, ხოლო მყინვარი— 734-ია. ჭარბტე-ნიანი მიწი ფართობია 256 000 ჰა. აქედან დასავლეთ საქართველო-შია 225 000 ჰა.

საქართველოს მიწის ფონდი მისი გამოყენების მიზნობრივი დან-იშნულების მიხედვით დაყოფილი იყო შემდეგნაირად:

**სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები 3 026 300ჰა.** ამ მიწებში შედის ყველა ის მიწა, რომლებიც გამოყენებულია ან გათვალისწინებულია სოფლის მეურნობაში გამოსაყენებლად და საჯარო რესატრში აღრიცხულია სასოფლო სამეურნეო დან-იშნულებით. ასეთი მიწებია: სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები, სა-კარმილამზ მიწები, სათიბი და საძოვარი. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებია ყველა ის მიწები, რომლებიც არ არის სასო-ფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. ასეთი მიწებია: გზები, ტყ-ისა და წყლის ფონდის მიწები, შენობა- ნაგებობებით დაკავებული მწები, აკეროდრომები და სხვა.

**დასახლებული პუნქტების მიწებში შედის ქალაქების, დაბების და სასაოფლო დასახლებული პუნქტების უკვე განაშენიანებულიმ-ინები.**

**მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშრგამბულობის, თავ-დაცვის და სხვა სპეცდანიშნულების მიწებში შედის იმ წარმოება-დაწესებულების და ორგანიზაციის მიწები, რომელთაც დაკისრებული აქვთ სპეციალური ამოცანების შესრულება და სახლმწიფოდან გადაცემული აქვთ სარგებლობაში.**

**ბუნება დაცვითი, გამაჯანსაღებელი, რეკრაციულ დანიშნულების მიწებში შედის:** სამეცნიერო, ისტორიულ-კულტურული, რეკრაციული, სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალები, ეროვნული პარკები, აღკვეთილები, ნაკრძალები, დენდროგიული და ბოტანიკური ბაღები, სამკურნალო აგარაკები.

**ტყის ფონდის მიწებში შედის:** ტყის საზღვრებში მოქცეული ყველა სახის მიწა, რომლებიც აღრიცხულია საჯარო რეესტრში ტყის ფონდის მიწებად.

**წყლის ფონდის მიწებს ეკუთვნის წყლის ობიექტებით დაკავებული მიწები, ასევე ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებისათვის გამოყოფილი მიწები, რომლებიც ემსახურება წყალთა მეურნეობას.**

**ისტორიულ-კულტურულ დანიშნულების სამონასტრო-საეკლესიო დანიშნულების მიწებში შედის:** მიწები, რომლებიც დაკავებულია ისტორიულ -კულტურულ დაწესებულებებით-ციხესიმაგრებით, მონასტრებით, ეკლესიებით და მიწებით, რომლებიც ემსახურება მათ.

**გაუცემელ მიწებში შედის ყველა ის მიწა, რომელიც გაცემული არ არის საკუთრების, მფლობელობის და სარგებლობის უფლებით და ეს მიწები წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრების მიწებს. ასევე სახელმწიფოს ეკუთვნის უკანონოდ დაკავებული და ჩამორთმეული მიწები.**

**საქართველოს სავარგულების მიწის ფონდის აღრიცხვა, სხვა-დასხვა დროს სხვადასხვა ხერხითა და მეთოდებით წარმოებდა.**

**ცხრილი 2 მოცემულია მიწის სავარგულების დინამიკა.**

## ცხრილი #2

წლები	სულ ფართ.	სახ-ნავი	ნახ-ვენი	ბალი	კენახი	ჩაი	თუთა	დაფნა	ცოტრუ-სები
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1885		1557.4							
1900	6662.8	1303.6		24.5	61.2				
1917	6981.7	631.8		7.2	37.4	1.0			
1921	7473.5	734.6	206.0	10.5	31.7	1.7		0.7	0.5
1926	7216.8	1300.0	501.5	15.7	34.6	5.8		0.8	0.6
1932	6963.9	1273.9	264.0	24.9	45.2	25.6	0.3	0.9	2.0
1936	6981.5	1183.8	169.1	43.5	48.7	37.2	0.3	1.0	3.8
1940	7435.6	1113.5	152.6	72.8	65.4	49.6	0.5	2.0	24.6
1945	7426.0	1193.4	128.9	72.1	62.9	51.5	0.6	2.2	18.7
1950	7637.5	1180.0	207.2	73.8	61.3	48.6	0.9	2.3	8.1
1955	7246.5	1096.1	99.2	70.8	66.0	66.1	1.2	1.3	15.6
1960	7334.2	1006.1	72.6	69.4	82.8	55.6	3.7	2.9	9.3
1965	7273.1	727.2	32.1	62.2	61.5	61.0	6.6	2.3	8.1
1970	7273.1	693.5	45.8	70.8	68.9	62.4	4.7	2.0	10.3
1975	7273.1	690.2	27.4	80.0	73.9	63.8	4.6	1.8	13.1
1980	7273.1	673.2	3.3	84.8	95.7	66.8	7.5	1.8	15.2
1985	7272.6	686.8	2.9	64.3	88.9	63.1	10.2	3.8	16.3
1990	7272.3	694.5	6.0	58.0	73.2	63.0	10.6	2.5	15.9
1997	7009.0	781.1		70.6	78.5	59.7	6.9	1.8	25.7
2005	7628.4	798.1	3.6	68.8	68.9	55.6	5.5	2.5	13.9
წლები	ტუნგო	კაპალი თხილი და სხვა	ეფერ-ზეთო-ვანები	სანერგე	ინტენს საკ.	სათიბი	საძოვარი	სას. სამ. სავარგ.	საკარ-მიდამო
1	11	12	13	14	15	16	17	18	%
1885					1557.4	155.7	3942.9	5655.0	
1900					1389.3	48.0	1102.6	2540.9	38.1 128.5
1917					677.4	71.4		748.8	61.1
1921					985.5	95.5	1406.1	2487.3	33.3 71.2
1926					1859.0	64.6	1728.4	3652.0	50.6 101.7
1932	0.1	3.0			1639.9	182.9	1708.6	3531.4	50.7 122.6
1936	4.3	2.0	1.0		1494.7	174.1	1766.9	3435.7	49.2 132.5
1940	24.6	3.9	2.4		1511.9	202.0	1677.1	3391.0	45.6 101.1
1945	12.4	4.0	3.7	0.1	1549.9	254.9	1567.7	3372.5	45.4 65.3
1950	10.9	4.5	4.1	0.3	1602.0	223.0	1462.9	3287.9	43.0 58.2
1955	13.4	5.0	4.0	0.3	1439.0	158.3	1445.3	3042.6	42.0 56.6
1960	8.7	5.8	4.6	0.7	1322.2	141.8	1554.7	3018.7	41.2 58.5
1965	6.2	6.0	5.4	1.0	979.6	149.5	1654.2	2783.3	38.3 195.1
1970	11.1	3.5	6.5	0.6	980.1	155.4	1815.2	2950.7	40.1 197.8
1975	12.8	3.0	7.5	1.1	985.2	150.3	1901.4	3036.9	41.7 192.6
1980	11.3	3.0	8.4	1.7	972.7	150.3	1936.9	3059.9	42.0 191.3

1985	5.3	7.2	11.2	2.0	962.0	173.8	1947.7	3083.5	42.4	193.6	
1990	5.7	5.6	10.0	0.9	945.9	156.6	1983.7	3086.2	42.4	202.4	
1997	32.3	3.3	5.5	0.3	1065.7	148.6	1820.2	3034.5	43.3		
2005	9.2	38.5	5.5	0.3	1070.9	143.0	1813.8	3027.7	39.1		
<b>წლები</b>	<b>სარეკულო მინიჭები</b>	<b>ქაობი</b>	<b>ტყვე</b>	<b>ბუჩქნარი</b>	<b>ნეალი</b>	<b>კლდები</b>	<b>ხრამები</b>	<b>ქუჩები</b>	<b>გზები</b>	<b>შენობები</b>	<b>სხვა მინები</b>
1	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
1885											1473.0
1900			2171.6	348.8							387.8
1917			3218.5								2953.3
1921			2476.6	280.2							2158.2
1926			2589.2	257.5							616.4
1932			2445.4	296.3							568.2
1936			2354.4	380.0							678.9
1940			2460.1	402.8							1080.6
1945	5.9	2447.4	379.3	81.5	6.0	5.5					1062.6
1950	23.0	2390.0	495.1	99.6	6.1	5.6	50.0	93.8	58.2		1070.0
1955	1.0	4.3	2482.4	370.9	100.4	6.4	6.7	50.7	92.6	70.1	
1960	1.7	4.8	2550.6	546.7	101.6	6.0	6.0	59.0	92.2	78.2	
1965	2.0	11.0	2643.8	365.2	144.1	49.8	8.4	60.0	94.5	104.8	
1970	1.8	10.0	2696.1	324.7	130.0	79.8	9.0	62.0	98.7	99.0	
1975	1.8	11.0	2740.7	275.4	141.7	47.8	106.2	61.0	100.6	105.0	
1980	1.6	8.3	2772.1	206.3	118.3	41.9	99.5	61.0	100.0	113.9	
1985	2.4	8.3	2872.7	177.0	118.3	40.0	100.0	60.0	122.1	99.5	
1990	3.0	8.3	2843.1	179.8	118.5	41.0	99.0	66.6	110.2	54.1	
1997	20.0	13.6	2837.7	168.6	133.3	40.0	99.0	66.0	103.7	86.8	
2005	1.0	15.6	2836.3	162.3	795.8	40.0	99.0	66.0	109.0	123.4	
											352.3

**სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ 2004 წელს საქართველოს მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და მის დაქვემდებარებაში არსებული მინათმონებობისა და მინათსარგებლობის სამეცნიერო-საპროექტო ინისტიტუტის უსაფუძვლოდ გაუქმების შემდეგ, 2005 წლიდან საქართველოს მინის ბალანსი არ გაკეთებულა.**

1926 წლის მინის ბალანსი გვიჩვენებს, რომ 1921 წელთან შედარებით საქართველოს მინის საერთო ფართობი შემცირდა 256.7 ათასი ჰექტრით.

ეს იმის შედეგია, რომ ნაწილი მიწები გადაეცა სხვა რესპუბლიკებს. ამავე მიზეზით შემცირდა საქართველოს მინის ფართობი 252.2 ათასი ჰექტრით 1932 წელს 1926 წელთან შედარებით. 1936-1940 წლებში საქართველოს მთლიანი 451.1 ათასი ჰექტრით გადიდდა ზამთრის საძოვრების გადმოცემით. 1945-1950 წლებში საქართველოს მთლიანი ფართობი გაიზარდა 212.6 ათასი ჰექტრით. 1944

წელს საქართველოს საზღვრებში შემოვიდა ჩეჩინეთ-ინგუშეთის ტერიტორიდან 656 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი. სამაგიეროდ, უკან დაბრუნდა ადრე გადმოცემული 444.5 ათასი ჰექტარი ზამთრის საძოვრები.

1950-1955 წლებში საქართველოს საერთო ფართობი შემცირდა 394 ათასი ჰექტარით. დალესტნიდან შემოემატა 8.1 ათასი ჰექტარი, სტავროპოლის მხარემ წაიღო 402.1 ათასი ჰექტარი. 1955-1960 წლებში ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან, გრძელვადიანი სარგებლობის ზამთრის საძოვრების შემომატებით, საქართველოს საერთო ფართობი გადიდდა 87.7 ათასი ჰექტარით. 1956 წელს 297.1 ათასი ჰექტარი გადაეცა ინგუშეთს.

სულ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს შიგნით დარჩა 6 949.4 ათასი ჰექტარი. სახნავი შემცირდა 90 ათასი ჰექტარი, ბალი 1.4 ათასი ჰექტარით, ჩაი 10.5 ათასი ჰექტარით, ტუნგო 4.7 ათასი ჰექტარით. გაიზარდა ვენახი ფართობი 16.8 ათასი ჰექტარით. სახნავი მიწის ფართობის ასეთი დიდი რაოდენობით შემცირება გამოწვეული იყო 1951 წელს მიღებული დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმად, დაბალინტენსური სავარგულები სახნავად უნდა ათვისებულიყო, ამ ღონისძიებამ არ გაამართლა და სახნავი მიწები საძოვრებში იქნა გადაყვანილი. 1990-1997 წლებში საქართველოს საერთო ფართობი 263.3 ათასი ჰექტარით შემცირდა, ყიზლარის გრძელვადიანი ზამთრის საძოვრების დაკარგვის გამო. 1997 წლიდან 2006 წლამდე საქართველოს ფართობი 619400 ჰექტარით გაიზარდა შავი ზღვის ტერიტორიული წყლების ხარჯზე. გადიდდა სახნავი მიწის ფართობი 17500 ჰექტარით, მრავალწლიანი ნარგავების ამოძირკვის ხარჯზე. შემცირდა ინტესიური მიწის სავარგულების ფართობი 5200 ჰექტარით.

სანგრძლივი პერიოდის მანძილზე საქართველოს ტერიტორიის ფართობი პირობითად შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა:

ძვ. წ. ა. I ათასწლეულის მე-2 ნახევარში	140,4 ათასი კმ <sup>2</sup>
I-IV საუუკუნეებში	134,2 ათასი კმ <sup>2</sup>
IX-X საუუკუნეებში	131 ათასი კმ <sup>2</sup>

XII-XIII საუკუნეებში	145 ათასი კმ <sup>2</sup>
XVI საუკუნის მე-2 ნახევარში	133 ათასი კმ <sup>2</sup>
XX საუკუნის დასაწყისისთვის	89,7 ათასი კმ <sup>2</sup>
XXI საუკუნის დასაწყისისთვის	69,7 ათასი კმ <sup>2</sup>

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1861 წლის 19 თებერვალს რუსეთის მეფემ ალექსანდრე მეორემ გამოსცა მანიურესტი ბატონიყმობის გაუქმების შესახებ და გლეხთა მოწყობის დებულება. საქართველოში ბატონიყმობის გაუქმება მოხდა 1864-1871 წლებში. ბატონიყმობის გაუქმებამდე ყმა გლეხი საშუალოდ 5.5 დესტინა მიწით სარგებლობდა, რეფორმის შემდეგ თითეულ ვალდებულ გლეხს საშუალოდ დარჩა მხოლოდ 3.5 დესტინა(ერთი დესტინა უდრის 0.91 ჰექტარს). 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა მიწების ნაციონალიზაცია.

საქართველოში 1931-1938 წლებში დაიწყო არტელების, კოლმეურნეობებისა და შემდგომ საბჭოთა სახელმწიფო მეურნეობების შექმნა. კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გადაეცა მუდმივ სარგებლობაში, ხოლო კოლნევრებს და საბჭოთა მეურნეობების მუშებს დაწესებული ნორმით სარგებლობაში.

საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოსვლისა და დამოუკიდებლობის მოპოვებამ, მიწაზე და წარმოების სხვა საშუალებებზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის აღიარებამ, ეროვნული მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და მიწის გამოყენების ფორმების რადიკალურად შეცვლის საჭიროებამ დღის წესრიგში დააყენა მიწის მართვის ახლებურად გააზრებული და ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომლითაც დაიწყო მიწის საერთო სახალხო საკუთრების ინსტიტუტის შეცვლა მიწის კერძო საკუთრების ინსტიტუტით, ეს იყო საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის # 48 დადგენილება: „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“. მოყოლებული ამ დროიდან, მიწის

საკითხებზე მიღებულია 11 კანონი, საქართველოს პრეზიდენტის 21 ბრძანებულება, 57 კანონეკვემდებარე ნორმატიული აქტი. 27 კანონი სხვადასხვა საკითხებზე, რომლებშიც მეტ-ნაკლებად მოცემულია მინასთან დაკავშირებული საკითხები.

1996 წლის 22 მარტს მიღებულია საქართველოს კანონი: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მნის საკუთრების შესახებ“ ამ კანონით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილზე გამოცხადდა კერძო საკუთრება. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები გაიყო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი გადაეცა რეფორმის ფონდს და კომლებს(ოჯახებს) დაურიგდა უფასოდ კერძო საკუთრებაში, მინის მეორე ნაწილი დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში და დაიწყო მისი იჯარით გაცემა.

მინის რეფორმის პერიოდში საქართველოს კომლები(ოჯახები) დაიყო მინის მიმღებთა სამ კატეგორიად და განისაზღვრა მინის ზღვრული გასაცემი მაქსიმალური ნორმა. მინის მიმღებთა პირველ კატეგორიას მიეკუთვნენ სოფლად მუდმივად მცხოვრები და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სპეციალისტები. მათვის მინის გასაცემი ფართობი განისაზღვრა ბარისა და ზეგნის რაიონებში ერთ ჰექტრამდე, ხოლო იმ რაიონებში, სადაც ამის შესაძლებლობა იყო - 1.25 ჰექტრამდე, მთის რეგიონებში ხუთ ჰექტრამდე.

მეორე კატეგორიას მიეკუთვნენ სოფლად მუდმივად მცხოვრები სხვა სფეროში მომუშავე მუშა-მოსამსახურები. მათ განესაზღვრათ გასაცემი გასაცემი მინის ფართობი ბარისა და ზეგნის რაიონებში 0.75 ჰექტრამდე, ხოლო მთის რაიონებში ხუთ ჰექტრამდე, მათ შორის დამუშავებაში არსებული მიწები 0.75 ჰექტრამდე.

მესამე კატეგორიას მიეკუთვნენ ქალაქად და დაბად მცხოვრები, რომელთაც საკუთრების უფლებით მიღებული ჰქონდათ საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი და ქალაქად და დაბაში მცხოვრები ის მოქალაქეები, რომელთაც სურდათ სოფლად მიეღოთ საკარმიდამო მინის ნაკვეთები, მათ განესაზღვრათ 0.25 ჰექტრამდე მინის ნაკვეთი, ხოლო თბილისის საგარეუბნო ზონაში 0.15 ჰექტრამდე. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე კერძო სა-

კუთრება გამოცხადდა 1997 წლიდან, როდესაც ძალაში შევიდა ახალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1998 წლის ოქტომბერში მიღებული იქნა საქართველოს კანონები „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ და „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ.“ სამწუხაროდ საქართველოს არა აქვთ მიღებული მიწის კოდექსი. ალარ კეთდება მიწების ყოველწლიური ბალანსი.

ძირითადი ფონდების და ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვა უდიდესი დანაშაულია ქართველი ერისა და საქართველოს ნინაშე (აღნიშნულ საკითხზე იხილეთ წიგნები: „ჩემო ქართულო მიწავ“ და „როდემდე ვჯიჯვნოთ ქართული მიწა“).

საქართველოს 2010 წლის ივნისის კანონით „სახელმწიფო ქონების შესახებ“ პრივატიზებას არ ექვემდებარება შემდეგი სახელმწიფო ქონება:

- წიაღი; წყლის რესურსები; ტერიტორიული წყლები; კონტინენტური შელფი; სახელმწიფო ტყისფონდი, გარდა დასახლებათა ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ყოილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეებისა; საჰაერო სივრცე; სახელმწიფო ნაკრძალი; ეროვნული პარკი; ბუნების ძეგლი; აღკვეთილი;
- საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სარეკრეაციო ტერიტორიები ან/და განსაკუთრებული სამშენებლორეგულირების ზონები;
- დადგენილი წესით დამტკიცებული ისტორიულ - კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტები, კულტურული და სახელოვნებო დანიშნულების შენობა ნაგებობები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც აღნიშნული ობიექტები განთავსებულია შესაბამისი პი-

რობებისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე;

- რელიგიური და საკულტო ნაგებობები ( მოქმედი და უმოქმედო ), მათი ნანგრევები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ისინია განთავსებული;
- საავტომობილო გზები ( ალტერნატიული მნიშვნელობის გზის არარსებობისას );

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შემდეგი სახის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა:

საძოვარი, გარდა 2005 წლის 30 ივლისამდე იჯარით გაცემული საძოვრებისა და საძოვრებისა, რომლებიც დადგენილი წესითშესაბამისი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ გაცემული აქტით დამაგრებულიამათზე მდებარე, ფიზიკური ან/და იურიდიული პირების კერძო საკუთრებაში არსებულ ან/და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულშენობა-ნაგებობებზე;

- პირუტყვის გადასარეკი ტრასები; წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონის პირველი სარტყელი (მკაცრი რეჟიმის ზონა);
- ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო - რელიგიური ძეგლებისათვის განკუთვნილი მიწა;
- დაცული ტერიტორიების მიწა, გარდა დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა;
- საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და საჯარო სამართლისიურიდიული პირების უზუღრუქტის ფორმით სარგებლობაში არსებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწები;

საქართველოს მდინარეების ენგურის, რიონის, ყვირილის, მტკვრის, ხრამის, თერგის, ქსნის, არაგვის, სუფსის, ბახვისწყლის, ხობის (ხობისწყლის ), ტეხურის, ცხენისწყლის, ძირულის, ნენსკრის, კინტრიშის, ჯეჯორის, ხანისწყლის, გუბაზეულის,

ფარავნის, სტორის, ნაკრის, ხელედულის, ჯონოულის, საკაურის, ჩაქვისწყლის, წაბლარასწყლის, სამყურის წყლის, მაგანის, პირიქითის ალაზნის, ავანისხევის, დუმალის, ჩელთის, ჩვეშურის (ჩაშურის), დურუჯის, ჩხოროწყუს, ივრის, ლებარდეს, ნაჩხურის, ბჟოლისხევის, ჭანისწყლის, მერისის (აკავრეთის), შავი წყლის, ურაველის, ხუმფრერის, ყვირილისწყლის, ჯუთისწყლის(ჯუთის), სნოსწყლის, ხდის (ხდისწყლის), ამალის, ჩხერის, ქესის, მნაისისწყლის, ჭოროხის და აჭარის - წყლის მიმდებარე მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც გათვალისწინებულია განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობა.

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სარეკრეაციო ტერიტორიებზე ან/და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში არსებული ქონების პრივატიზება დაიშვება მხოლოდ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, მოახდინოს ამ უფლებამოსილების განსაზღვრული ვადით დელეგირება სხვა ადმინისტრაციულ ორგანოზე ან თვითმმართველ ერთეულზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო ქონების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

საქართველო ძირითადად არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნარმოებელი ქვეყანა, მასთან დაკავშირებული გადამუშავებელი მრეწველობით, რომელიც ამჟამად საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი და პერსპექტიული სექტორია. აღნიშნულ სექტორს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი, რათა განამტკიცოს თავისი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და სოციალურ წინსვლაში, უმოკლეს ვადაში გადაიქცეს კვებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მათ შორის, დაკონსერვებული ხილისა და ბოსტონეულის, ციტრუსების, აგრეთვე უნიკალური, ეგზოტიკური პროდუქტების მსხვილ ექსპორტიორად საერთაშორისო ბაზარზე.

ასეთი პერსპექტივების განხორციელების სერიოზულ ხელშემწყობ ფაქტორებად გვევლინება საქართველოს გეოგრაფიული

მდებარეობა და თავისებურებები. საქართველოში რადიაცული ფონი 15-20 % დაბალია, ვიდრე შეუ ევროპაში და აზიურ მთელრიგ ქვეყნებში. გარდა ამისა, საქართველოში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებისათვის, ძირითად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნიადაგის განაყოფიერებისთვის, სასუქებისა და პესტიციდების გამოუყენლობის გამო. ამასთანავე უკანასკნელ პრიორიტეტი დიდი ყურადღება ექცევა ბიოსასუქების გამოყენებას. ასეთი აგროსამრეწველო პოტენციალის მქონე ქვეყანაში, დღეს მოქმედი კვების საწარმოთა უმრავლესობაში, მაგალითად, ლუდის, ხილის წვენების, უალკოჰოლო სასმელების და სხვათა მიერ გამოშვებული პროდუქციაში, რომელიც იყიდება ბაზარზე, როგორც ქართული წარმოების პროდუქტი.

ქართული კომპონენტი, სამწუხაროდ მხოლოდ წყალია. ლუდის წარმოებისათვის ძირითადი ნედლეული ალაო, რომელიც ქერისგან მზადდება, უცხოეთიდან შემოდის, მაშინ, როდესაც ქერი საქართელოსთვის ისტორიულად ტრადიციული კულტურაა, ხოლო ხილის წვენების და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში, უპირატესად საზღვარგარეთიდან შემოტანილ ხილის არანატურალურ კონცენტრატებს იყენებენ, მაშინ, როდესაც ქართული ხილი დიდი რაოდენობით იკარგება გადამამუშავებელი ქარხნების მწვავე დეფიციტის გამო. უარესი მდგომარეობაა ბოსტნეული პროდუქტების წარმოების სფეროში. ყოველივე აღნიშნული უცხოელი ინვესტორების დიანტერესების საშუალებაა.

გასული საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოში, მიწათმოქმედების დარგებიდან ფართოდ იყო განვითარებული: მარცვლეული მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა, საკვებწარმოება, მეცხოველეობის დარგებიდან - მთისა და ბარის მესაქონლეობა, მ.შ. მექანიზეობა, მეცხვარეობა, მელორეობა, ლოკალურად - მეფრინველეობა. შემდგომ პერიოდში, სხვა ქვეყნებთან კავშირ-ურთიერთობის განვითარების შედეგად რამდენადმე იცვალა სახე სოფლის მეურნეობამ. დასავლეთ საქართველოს უნიკალურ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს კარგად მოერგო სუბტროპიკული მიწათმოქმედება და

წარმატებით განვითარდა მანამდე ქართული სოფლის მეურნეობისთვის უცხო კულტურები: ჩაი, ციტრუსები, სუბტროპიკული ხილი. შედარებით ადრე, ასევე სხვა ქვეყნებიდან მოხვდა საქართველოში სიმინდი, კარტოფილი, პომიდორი, თამბაქო, სხვადასხვა ჯიშის პირუტყვი და ფრინველი.

ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემოტანამ თავისი გავლენა მოახდინა წარმოების სპეციალიზაციაზე, ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე.

ამ ცვლილებებმა უდავოდ დადებითი გავლენა იქონია სტრუქტურული თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობის განვითარებამ ძირითადად ორი სტრატეგიული მიმართულება მიიღო:

**ჯერ ერთი** - გამოიკვეთა ის პრიორიტეტული დარგები, რომებიც განსაზღვრავენ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მთელი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნული შემოსავლის ფორმირებაში. ეს დარგებია: მევენახეობა და ლვინის მრეწველობა, მეხილეობა და საკონსერვო მრეწველობა, მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა, მეციტრუსეობა და ციტრუსების პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა.

**მეორეს მხრივ** - ცალკე დაჯგუფდა ე.წ. „სასურსათო მნიშვნელობის“ დარგები: მემარცვლეობა, მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა, რომელთანაც შეთანაწყობილია ტექნიკური და საკვები კულტურების პროდუქციის წარმოება.

## საქართველოს ნიადაგები

საქართველოში გავრცელებულია ყველა ტიპის ნიადაგები, ძირითადად ეს ნიადაგებია:

**ნიოთელმინა** — ხასიათდება წითელი შეფერილობით, გათიხებით და ჩვეულებრივ მძლავრი პროფილით. საერთო ფართობი შეადგენს 1,9%-ს (130 400 ჰა). გავრცელებულია ტენიანი სუბტროპიკული ზო-

ნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ზღვის დონიდან 200-300 მეტრამდე (აჭარა, გურია), აგრეთვე გვხვდება სამეგრელოსა და აფხაზეთში. წითელმიწებზე გაშენებულია სუბტროპიკული კულტურების მნიშვნელოვანი ნაწილი და აგრეთვე ჩაის პლანტაციები. საკვები ელემენტების (აზოტის, ფოსფორის, კალიუმის) დეფიციტი მოითხოვს მათ მუდმივ შეტანას.

ყვითელმიწები ხასიათდება ყვითელი შეფერილობით, გათხიერებით და ჩვეულებრივ მძლავრი პროფილით. საერთო ფართობი შეადგენს 4,5%-ს (317 600 ჰა). გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ზღვის დონიდან 100-დან - 500 მეტრამდე (აფხაზეთი, იმერეთი, სამეგრელო). ყვითელმიწები ლარიბია კვების მინერალური ელემენტებით და ათვისებისას სწრაფად კარგავენ ნაყოფიერებას. მათთვის დამახასიათებელია დაბალი წყალგამტარობა, ცუდი აერაცია, სუსტი გასტრუქტურება. პლანტაციებში (ჩაი, ციტრუსი, ტუნგი) მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროა ორგანული და მინერალური სასუქების დიდი დოზების შეტანა.

ჭაობიანი ნიადაგები ძირითადად გვხვდება კოლხეთის დაბლობზე (220 000 ჰა), აგრეთვე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. ჭაობიანი ნიადაგები აერთიანებენ ლამიან-ჭაობიან (130 400 ჰა - ქვეყნის მთელი ტერიტორიის 1,9%) და ორგანულ (ტორფიან) ჭაობიან (70 600 ჰა - მთელი ტერიტორიის 1%-მდე) ნიადაგებს. ჭაობიანი ნიადაგური ფონდი ის რეზერვია, რომელთა დაშრობითაც სუბტროპიკული ზონის მიწათმოქმედებისთვის საჭირო ფართობი მრავალი ათასი ჰექტარით გაიზრდება.

ყვითელმიწა-ენერი ნიადაგები ხასიათდება კარგად გამოხატული ილუვიური ჰორიზონტით, რომელიც გაღარიბებულია ლექის ფრაქციით და ერთნახევარი უანგეულებით და ყვითელ-ყომრალი ილუვიური ჰორიზონტით. საერთო ფართობი შეადგენს 2%-ს (137 600 ჰა). გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში ზღვის დონიდან 30-დან 200მ-მდე, ძირითადად კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონების მცირედ შემაღლებულ პერიფერიულ ნაწილში, ძველ ზღვიურ ტერ-

ასებზე (სამეგრელოში, აფხაზეთსა და იმერეთში). ყვითელმიწა-ენ-ერი ნიადაგები ხასიათდება დაბალი ბუნებრივი ნაყოფიერებით და არახელსაყრელი ფიზიკური თვისებებით. ერთ-ერთი ძირითადი უარყოფითი მაჩვენებელია ორტშტეინის პორიზონტის არსებობა, რომელიც თავისი წყალგაუმტარობის გამო ხელს უწყობს ნიადაგის დაჭაობებას.

ყვითელმიწა-ენერლებიანი ნიადაგები განვითარების პირობებით მეტად ახლოსაა ყვითელმიწა-ენერ ნიადაგებთან, მაგრამ განსხვავდებიან გრუნტის და ზედაპირული ჩამონადენი წყლებით მეტი დატენიანებით. მათი საერთო ფართობი შეადგენს 0,7% (14 200 ჰა). გავრცელებულია იგივე არეალში, როგორშიც ყვითელმიწა-ენერი ნიადაგები, მაგრამ იკავებენ რელიეფის უფრო ჩადაბლებულ ადგილებს. მათი ათვისება მთელ რიგ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. აქედან უმთავრესია ჭარტტენიანობა. მათი გამოყენება მრავალნიანი კულტურების ქვეშ წინასწარი მელიორაციის გარეშე ხშირად შეუძლებელია. ნიადაგები საჭიროებენ მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენებას. პერსპექტიულია სასიდერაციო კულტურების თესვა.

ყვითელ-ყომრალი ნიადაგები ხასიათდება კარგად გამოხატული ჰუმუსოვანი და ყვითელ-ყომრალი ილუვიური პორიზონტით. საერთო ფართობი შეადგენს 1,5%-ს (106 000 ჰა). გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში სუბტროპიკული სარტყელის ყვითელმიწა, წითელმიწა და ყომრალ ნიადაგებს შორის ზღვის დონიდან 400-500 მ-დან 800-1000 მ-მდე. ყვითელ-ყომრალ ნიადაგები ჰუმუსის დიდი რაოდენობით შემცველობის გამო, მდიდარია აზოტით, შედარებით ნაკლენ უზრუნველყოფილია ფოსფორით და, განსაკუთრებით, კალიუმით. კარგი ფიზიკური თვისებების გამო ნიადაგს მაღალი წყალგაუმტარობის უნარი გააჩნია. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროზიული პროცესების შენელება-შეზღუდვის თვალსაზრისით.

ყომრალი ნიადაგები ხასიათდება არადიფერენცირებული პროფილით. მათი საერთო ფართობი შეადგენს 18,1%-ს (1 329 000 ჰა).

ყომრალი ნიადაგები დასავლეთ საქართველოში მოქცეულია ზღვის დონიდან 800 (900) – 1800 (2000) მ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 900 (1000) – 1900 (2000) მ სიმაღლის ფარგლებში. ყომრალი ნიადაგები ძირითადად ტყითაა დაფარული. შედარებით მცირე ნაწილი (უმეტესად მთისწინების ზოლში) ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით. ნიადაგები გამოიყენება როგორც სახნავი, სათიბ-საძოვარი და ტყის სავარგულები.

**ყომრალ-შავი ნიადაგები** ხასიათდება მძლავრი ჰუმუსოვანი პორიზონტით ჩამრეცხი წყლის რეჟიმის პირობებში. ნიადაგები ხასიათდება შავ-ყომრალი (მუქი-ყომრალი) შეფერილობით, კოშტოვან-კაკლოვანი სტრუქტურით, შედარებით ფხვიერი აგებულებით, კარბონატების უქონლობით. გავრცელებულია ანდეზიტ-ბაზალტებზე, მცირე კავკასიონზე ტყის სარტყელში ზღვის დონიდან 1100-დან 1600მ-მდე. ნიადაგები უშუალოდ ემიჯნება ყომრალებს. ქვეყნის ნიადაგებს შორის იკავებენ ყველაზე მცირე ფართობებს. ყომრალ-შავი ნიადაგები ეროზიული მოვლენების მიმართ საქმაოდ მდგრადია.

**კორდიან-კარბონატული ნიადაგები** ხასიათდება სუსტად დიფერენცირებული პროფილით. ძირითადად ფორმირდებიან ტყის ზონაში ისეთ ქანებზე, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ კალციუმის კარბონატებს (კირქვები, მარმარილოები, დოლომიტები, მერგელები და სხვ.). მათი ფართობი შეადგენს 4,5%-ს (317 200 ჰა). გავრცელებულია მთელ ქვეყანაში, ძირითადად მთა-ტყის სარტყელში (1000-დან 2000მ-მდე). გვხვდება ტენიან და მშრალ სუბტროპიკულ ზონაში და მაღალმთიანეთში. კორდიან-კარბონატული ნიადაგები გამოყენების მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: 1) მცირე სიმძლავრის, ხირხატიანი და ჩამორცხილი; 2) საშუალო სიმძლავრის ან მძლავრი, ნაკლებად ხირხატიანი და ბევრპუმუსიანი ნიადაგები.

პირველი ჯგუფის ნიადაგები ექსტენსიურ საძოვრებადაა გამოყენებული. მათი გაუმჯობესების ძირითადი ღონისძიებაა: საკარანტინო ნესების შემოღება, მცენარეების ჭრის აკრძალვა. მეორე

**ჯგუფის ნიადაგებზე საჭიროა განხორციელდეს ნიადაგცვითი, აღ-დგენა-გაუმჯობესების და სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები.**

**რუხი-ყავისფერი ნიადაგები** ხასიათდება არადიფერენცირებული, გათიხებული, კარბონატული, მცირეპუმუსიანი პროფილით. მათი ძირითადი დიაგნოსტიკური მაჩვენებლებია ჰუმუსოვანი და კარბონატული პროფილის შედარებითი გაჭიმულობა, პროფილის შუა ნაწილში კარგად გამოხატული გათიხება და ზედაპირიდან კარბონატების არსებობა. ამ ნიადაგების საერთო ფართობი შეადგენს 5,8% (402 000 ჰა). გავრცელებულია სამხრეთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მარნეულის, გარდაბნის, საგარეჯოსა და სხვა რაიონების ტერიტორიაზე. მშრალი სუბტროპიკების ბუნებრივი პირობები სამუალებას იძლევა მოვიყვანოთ ხორბალთან ერთად მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურა. კარგად ხარობს: ვაზი, კომში, ლელვი, ბრონეული, ნიგოზი და სხვა სუბტროპიკული კულტურები. ამ ნიადაგების პოტენციური ნაყოფიერება საკმაოდ მაღალია, მაგრამ მიწათმოქმედება იზღუდება წყლის უკმარისობით. ურნყავ პირობებში კულტურების უმრავლესობა დაბალ მოსავალს იძლევა. ნიადაგები ღარიბია საკვები ელემენტებით.

**მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგები** ხასიათდება არადიფერენცირებული პროფილით. რუხ-ყავისფერ ნიადაგებთან შედარებით უფრო მძლავრი პროფილით (მთელს პროფილში გალებების ნიშნებით), ძლიერი გათიხებით. ფორმირება ხდება მდელოს-ყავისფერ ნიადაგებს შორის გადიდებული დატენიანების პირობებში. ამ ნიადაგებს პრაქტიკულად ისეთივე გამოყენება აქვთ, როგორც რუხ-ყავისფერ ნიადაგებს, თუმცა აქ მიწათმოქმედება უფრო ნაკლებად შეზღუდულია ტენის მეტი შემცველობის გამო.

**ყავისფერი ნიადაგები** ხასიათდება მკვეთრად გამოხატული პროფილის ფერადი დიფერენციაციით ნათლად გამოხატული გათიხებით. საერთო ფართობი შეადგენს 4,8%-ს (311 600 ჰა). გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში სუბტროპიკული ტყე-სტეპის ზონაში ძირითადად ზღვის დონიდან 500 (700) – 900

(1300) მ ფარგლებში. ყავისფერი ნიადაგები ხასიათდება მაღალი ნაყოფიერებით და შავმიწებთან ერთად საქართველოს ყველაზე ნაყოფიერ ნიადაგებს მიეკუთვნება. საუკეთესოა ვაზის და ხეხილის კულტურებისთვის.

**მდელოს-ყავისფერი ნიადაგები** ხასიათდება სუსტად დიფერენცირებული პროფილით, ყავისფერ ნიადაგებზე უფრო მძლავრი პროფილით, სუსტად გამოხატული კარბონატულ-ილუვიური ჰორიზონტით. ფართობი შეადგენს 1,9%-ს (130 400 ჰა). თავისი აგრონომიული მაჩვენებლებით ერთ-ერთ კარგ ნიადაგად ითვლება როგორც ვაზისა და ხეხილის, ასევე ხორბლის, ქერის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, პარკოსნების და სხვა კულტურებისთვის. მაღალი მოსავლის მისაღებად, ჰუმუსის დადგებითი ბალანსისთვის ბიოლოგიურ ღონისძიებებთან ერთად აუცილებელია განოყიერების ღონისძიებათა გატარება.

**შავი ნიადაგები** ხასიათდება სუსტი დიფერენციაციით, საქმაოდ მძლავრი ჰუმუსოვანი ჰორიზონტით, გადიდებული სიმკვრივით, თიხა მექანიკური შედგენილობით. ფართობი შეადგენს 3,9% (266 800 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია მთათაშორის ბელტის-ბარის ზონაში გარე და შიგა კახეთის, ქვემო და, ნაწილობრივ, შუა ქართლის რაიონებში, მათი ძირითადი დიაგნოსტიკური მაჩვენებლებია პროფილის ზედა ნაწილის ფისიან-შავი შეფერილობა, შუა ნაწილის გათიხება და გაკარბონატება. ხელსაყრელი თბური რესურსები მარცვლეულისა და ბოსტნეულის წელიწადში ორი მილების საშუალებას იძლევა. მორწყვის პირობებში შეიძლება ტექნიკური (ბამბა, ზეთის ხილი, თამბაქო) და საბალე (ვაშლი, ლელვი, ბრონეული და სხვ.) კულტურების გაშენება. ამიტომ სარწყავი მიწათმოქმედების ღონისძიებათა სისტემაში ამ ნიადაგების ირიგაციული ეროზიისგან დაცვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

**შავმიწები ხასიათდება** საქმაოდ მძლავრი ჰუმუსოვანი ჰორიზონტით. ფართობი შეადგენს 1,4%-ს (99 200 ჰა). გავრცელებულია სამხრეთ მთიანეთში ზღვის ღონისძიება 1200-1900მ შორის. აქ მოჰყავთ პურეული კულტურები, კარტოფილი და საკვები ჭარხალი. შავმიწე-

ბი აგრეთვე გამოიყენება საძოვრებად და სათიბებად. ამ ნიადაგების რაციონალური გამოყენება, კულტურების მაღალი მოსავლიანობა ბევრადაა დამოკიდებული მემინდვრეობის და მეცხოველეობის დარგების სროწ შეთანაწყობაზე და აგრონომიულ ღონისძიებათა ეფექტურ განხორციელებაზე.

**მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები** ხასიათდება არადიფერენცირებული პროფილით, მაღალი და ღრმა ჰუმუსირებით, მცირე და საშუალო სიმძლავრით, ძლიერი გამოტუტვით. ფართობი შეადგენს 7,2%-ს (492 000 ჰა). მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები ფართოდაა გავრცელებული კავკასიონისა და ამიერკავკასიონის სამხრეთ მთიანეთის სუბალპურ ზონაში ზღვის დონიდან 1800 (2000)მ-დან 2000 (2200)მ-მდე.

მთა-მდელოს ნიადაგები მათი ძირითადი დიაგნოსტიკური მაჩვენებელია კარგად გამოხატული ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, მცირე ან საშუალო სიმძლავრე. ფართობია 1 758 200ჰა, ანუ მთელი ტერიტორიის 25,1%. გავრცელებულია კავკასიონისა და ამიერკავკასიის სამხრეთ მთიანეთის სუბალპურ და ალპურ ზონაში ზღვის დონიდან 1800 (2000)მ-დან 3200 (3500)მ-მდე. მთა-მდელოს ნიადაგებზეა სათიბ-საძოვრები. მათი რაციონალური გამოყენების აუცილებელი პირობაა ძოვების ნორმირება, რათა არ დავუშვათ საძოვრების გადატვირთვა. მრავალი საძოვარი მოითხოვს გაუმჯობესებას, რისთვისაც საჭიროა მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა, ბალახების შეთესვა.

**მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგების ძირითადი დიაგნოსტიკური** მაჩვენებელებია კარგად გამოხატული მძლავრი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, მცირე ან საშუალო სიმძლავრე. უკავიათ მთელი ტერიტორიის 1,6% (109 600 ჰა). გავრცელებულია სამხრეთ საქართველოში სუბალპურ და ალპურ ზონებში ზღვის დონიდან 1800 (2000) მ ზემოთ. მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები გამოიყენება სათიბ-საძოვრებად. მათი დაცვა და რაციონალურად გამოყენება ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: გაძოვების ნორმირებას, სასუქების შეტანას, ნიადაგდაცვითი ძირითადი პრინციპების შესრულებას.

**დამლაშებული ნიადაგები** აერთიანებენ ბიც და ბიცნარებს. ბიცი ნიადაგები ადვილადხსნად მარილებს ზედაპირიდანვე შეიცავენ, ბიცნარები კი - ქვედა ფენების ამა თუ იმ სილრმიდან. დამლაშებული ნიადაგების საერთო ფართობი შეადგენს 1,6% (112 600 ჰა). ეს ნიადაგები ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონაში. ბიცი და ბიცნარები დაბალი ნაყოფიერების ნიადაგების და საჭიროებენ გამაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარებას.

**ალუვიური ნიადაგები** ხასიათდება რეგულარული დატბორვით და ნიადაგების ზედაპირზე ალუვიონის ახალი შრეების დალექვით. ფართობი შეადგენს 5,0% (351 400 ჰა). ისინი ფორმირდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სხვადასხვა ბუნებრივ ზონაში. ალუვიური ნიადაგები, როგორც წესი, დაბალი ბუნებრივი ნაყოფიერებით ხასიათდება და საჭიროებს სათანადო ღონისძიებების გატარებას.

**ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაახლოებით 35-45% დეგრადირებულია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ნიადაგის ეროზია. საქართველოში გავრცელებულია როგორც წყლის, ასევე ქარისმიერი ეროზია. წყლისმიერი ეროზია გავრცელებულია ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში. ქარით გამოწვეული ეროზიული პროცესები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში (კერძოდ, კახეთის რეგიონში) დაფიქსირდა. ადრინდელი მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოში ეროზირებული სახნავი ფართობები შეადგენდა თითქმის 143 000 ჰა-ს (მთელი სახნავის 29,3%), დასავლეთ საქართველოში 63 000 ჰა-ს (სახნავის 33,7%). ეროზია დიდ ზიანს აყენებს ასევე სათიბების და საძოვრების ფართობებს.**

გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში მასშტაბური ხასიათი მიიღო სტიქიურმა პროცესებმა (მეწყერები, ღვარცოფები და სხვა).

**ცხრილი # 3 მოცემულია მინაზე ქონების გადასახადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ქალაქებისა და რაიონების მიხედვით.**

### ცხრილი № 3

**ა) სახნავისთვის (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბალე, საბოსტნე) და საკარმიდამოსთვის:**

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ჰარი / ჰა )
სახნავი და საკარმიდამო	
1. თბილისი (გარდა თბილისის დასახლებებისა (სოფლებისა), მარნეული	100
2. ბოლნისი, გარდაბანი, თბილისის დასახლებები(სოფლები ): ნაევისი, კოჯორი, ტაბახმედი, შინდისი, დიღება, კვესეთი, სამადლო, კიკეთი, ნასაგურალი, ახალდაბა, დიდი ლალო, ვარკეთილი	95
3. რუსთავი, ბათუმი, გაგრა, გალი, გუდაუთა, გულრიფში, ოჩამჩირე, სოხუმი, ტყვარჩელი	94
4. ქობულეთი, ხელვაჩაური, გურჯაანი, დედოფლისწყარო	87
5. თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღმი	86
6. ყვარელი, გორი, მცხეთა, ახმეტა, დმანისი, ერევი, თილვი, თბილისის დასახლებები (სოფლები): დილომი, მერალევი, დაბა ზაქესი, გლდნი, დიდგორი, ზურგოვანა, თელოვანი, ძევლი ვეძისი, აგარეკი, თხინვალი, სოფელებიდანდან ავჭალის დასახლებამდე – საბალე ნაკეთები, გიორგიშვილი, საბალე ნაკეთები, მუხანისი მიმდებარე საბალე ნაკეთები, ხევმარისი მიმდებარე ავჭინისის „დასახლება, ლოტკინის დასახლება – სანერგე, მეურნება, რესის მიმდებარე დასახლება, თბილისის ზღვის არსებულიდასას ლება	82
7. კასპი, თეთრი წყარო, სამტრედია	81
8. საგარეჯო, ქარელი, ხაშური	79
9. ქურთა, წალკა	77
10. აბაშა, ზუგდიდი	77
11. ახალქალაქი, ახალციხე	77
12. მარტვილი, სენაკი, ხობი, ფოთი	76
13. ნინოწმინდა	76
14. ახალგორი, ვანი, ზესტაფონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი	73
15. ბალდათი, თერჯოლა, ხონი, ქუთაისი	71
16. წალენჯიხა, წყალტუბო, ჩხოროწყუ	67
17. საჩხერე, ცაგერი, ცხინვალი	65
18. ამბროლაური, დუშეთი, თიანეთი, ადიგენი, ბორჯომი	61
19. ასპინძა, ტყიბული, ხულო, ქედა	60
20. შუახევი, ხარაგაული, ჭიათურა, ლენტეხი, ონი, ჩოხატაური, მესტია, სტეფანწმინდა, ჯავა	56

**ბ) სათიპებისადასაძოვრებისთვის (ბუნებრივიდაგაკულტურებული):**

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი /პა )	
	სათიპები	საძოვ-რეზი
1. აბაშა, ახალქალაქი, გორი, ბათუმი, ბოლნისი, გაგრა, გალი, გარდაბანი, გუდაუთა, გულრიფში, გურჯაანი, დაბანისი, ზუგდიდი, თბილისი, თერთილი, წყარი, თელავი, ლაგო-დეხი, ლანჩხუთი, მარნეული, მცხეთა, ნინოშვილი, ოზურგეთი, რჩამჩირე, რუსთავი, სამტკრელია, სენაკი, სლნილი, სოხუმი, ჭუათასი, ქობულეთი, ყვარელი, ნალკა, ნუალ-ტუბოხელვაბაური, ხობი, ფოთი	20	16
2. დედოფლისწყარო	20	7
3. აბიგენი, ასპინძა, ახალგორი, ბალდათი, ბორჯომი, განი, ზესტაფინი, თერჯოლა, თინეთი, კასპი, მარტვილი, საგარეჯო, საჩიხერე, ტყიბული, ქრელი, ქედა, შუახევი, ჩოხატური, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხარაგაული, ხაშური, ხინი, ხული, ახალციხე	19	15
4. აბბროლაური, დუშეთი, ლენტეხი, მესტია, ონი, ყაზბეგი, ცაგერი, ცხინვალი, ჭიათურა, ჯავა	16	10
5. ახმეტა	16	5

**გ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მინებისთვის ამ ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი შესაბამისი ოდენობით;**

მინაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით: ა) მის საკუთრებაში არსებულ მინაზე; ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მინაზე, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი; გ) მის მფლობელობაში ან/დასარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მინის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მინებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მინის კატეგორიების მიხედვით და დგინდება 1 ჰექტარზე გაანგარიშებით, ლაში:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება გადასახადის განაკვეთი,

რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ ნაწილით დადგენილი წლიური საბაზისო განაკვეთის 150 პროცენტს.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისთვის, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გაიანგარიშება შემდეგი წესით:

ა) გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0.24 ლარის ოდენობით;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთი მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე. ამასთანავე, ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი.

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისთვის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფორმით გამოყოფილი მიწა იბეგრება ერთ ჰექტარზე არაუმეტეს 3 ლარით.

ქ. თბილისში სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთები მოცემულია ცხრილში # 4.

#### ცხრილი № 4

##### სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთები

ა) სათიპებისდასაძოვრებისთვის (ბუნებრივიდაგაულტურებული):

განაკვეთი (ლარი/ჰა)	
სათიპები	საძოვრები
20	16

ბ) სახნავისთვის (მათშორის: მრავალწლიანინარგავებითდაკავებულიმიწა, საბალე, საბოსტნე) დასაკარმიდამოსთვის:

დასახელება	განაკვეთი (ლარი/ჰა)
1. თბილისი (გარდა თბილისის დასახლებებისა (სოფლებისა)	100
2. თბილისის დასახლებები (სოფლები): წავკისი, კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი, დიდება, კვესეთი, სამადლი, კიკეთი, ნასაგურალი, ახალდაბა, დიდილილო, ვარკეთილი	95
3. თბილისის დასახლებები (სოფლები): დილომი, მშრალევი, დაბაზაცესი, გლდანი, დიდგორი, ზურგოვანა, თელოვანა, ძველი ვეძისი, აგარაკი, თხენვალი, სოფელ გლდანიდან ავჭალის დასახლებამდე - საბალე ნაკვეთები, გორგი წმინდა - საბალე ნაკვეთები, მუხიანის მიმდებარე საბალე ნაკვეთები, ხევძმარის მიმდებარე "ავშნიანის" დასახლება, ლოტკინის დასახლება - სანერგე მეურნეობა, რესის მიმდებარე დასახლება, თბილისის ზღვის არსებული დასახლება	82

არასასოფლო-სამეურნეოდანიშნულებისმიწაზე ქონებისგა-  
დასახადისწლიურიგანაკვეთი

N	ზონა	ტერიტორიული კოეფიციენტი	1 კვ.მ მიწის წლიური განაკვეთი
1.	ძველითბილისისრაიონი	1.5	0.36
2.	ვაკე-საბურთალოს რაიონი, გარდა "ვაკე, ბაგები" და "დილომი, ვაშლიჯვრის" უბნებისა	1.3	0.31
3.	ვაკე-საბურთალოს რაიონის "ვაკე, ბაგების" უბანი	1.5	0.36
4.	ვაკე-საბურთალოს რაიონის "დილომი, ვაშლიჯვრის" უბანი	1.15	0.28
5.	ისანი-სამგორისრაიონი	1.2	0.29
6.	დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი	1.3	0.31
7.	გლდანი-ნაძალადევის რაიონი	1.1	0.26
8.	დიდგორის რაიონი	1.0	0.24

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფასი დადგენილია ქალქების, რაიონებისა და მიწის კატეგორიების მიხედვით. ერთი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

მიწის გასაყიდი საწყისი ნორმატიული ფასი მაქსიმალურია ათასი ლარი, მინიმალური სამასი ლარი. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასაყიდ ფასს ყოველწლირად არაუგვიანეს თებერვლის თვისა ადგენს ქალაქისა და რაიონების საკრებულოები. ქალაქ თბილისი დაყოფილია 180 ზონად, მინიმალური ფასია ერთი კვადრატული მეტრის სამი ლარი, მაქსიმალური 1998 ლარი.

შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით, მიწაზე ქონების გადასახადისგან გათავისუფლებულია:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც გადაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციას, გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული მიწისა;
- ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაციების მიწის ფართობი, რომლებზედაც განლაგებულია სახელმწიფოს მიერ ისტორიულ, კულტურულ ან/და არქიტექტურულ ძეგლებად მიჩნეული ნაგებობები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისთვის, რომელშიც არ იგულისხმება შესასვლელი ბილეთების რეალიზაცია;
- ბუნებრივი პარკებით, ბოტანიკური და დენდროლოგიური ბალებით, კულტურისა და დასვენების მუნიციპალური პარკებით, სასაფლაოებით, ზოოლოგიური ბალებით ან/და პარკებით, ოკეანარიუმებით, სკვერებით, ხეივნებით, დაცული ტერიტორიებით, სატყეო ორგანიზაციებით, აგრეთვე ღია ა საუნიკებო პარკებით, ბალებითა და ტყე-ბალებით დაკავებული მიწები, გარდა ამ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ნაკვეთებისა;
- ქალაქის წყალსაცავები და მათი აკვატორიები; ის მიწები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციებისთვის, თუ ისინი არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის;

- სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისთვის, ელექტროსადგურებისა და სამელიორაციო სისტემებისა და მათი ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი წყალსაცავებით დაკავებული მიწები და ამ ობიექტების სანიტარიულ-დაცვითი და ტექნიკური ზონები;
- „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობის) სანარმოებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი სხვა მიზნით არ გამოიყენება;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადა დაზიანებული სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყრის და სხვა) შედეგად, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ნარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;
- პირის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც მდებარეობს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ტერიტორიების მიმდებარედ, რის გამოც პირი ვერ სარგებლობს მოცემული მიწის ნაკვეთით, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;
- პირის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული ქონება და მასზე დამაგრებული მიწა, თუ იგი ამ ქონებით ვერ სარგებლობს იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიერ საცხოვრებლად გამოყენების გამო და ეს ქონება რეგისტრირებულია, როგორც დევნილთა კომპაქტურად (ორგანიზებულად) განსახლების ობიექტი, რაც დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობით;

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;
- ისმინები, რომლებიც გამოიყენება აეროდრომების, აერო-პორტების, ვერტოდრომებისა და აერონავიგაციის უსაფრთხოების ზონებად და მიწისქვეშა კომუნიკაციები-სათვის, აგრეთვე ნავსადგურებისათვის პერსპექტიული განვითარების მიზნით დამაგრებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;
- ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, – მიღებიდან 5 წლისგანმავლობაში;
- ნასოფლარ ისტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები ამ ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე – დასახლებიდან 5 წლის განმავლობაში;
- 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

**შენიშვნა:** გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება კომლის წევრის ან პირველი/მეორე რიგის მემკვიდრის მიერ აღნიშნული ქონების ჩუქებით/მემკვიდრეობით მიღების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ წევრებისაგან (მეპაიებისაგან) ამ ქონების შენატანის (პაის) სახით მიღების შემთხვევებშიც;

- პირველადი წყალმოსარგებლისთვის - კერძო სამართლის იურიდიული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი წესით გადაცემული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა და მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელზედაც სამელიორაციო ინფრასტრუქტურაა დამაგრებული;

- მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები პრივატიზების წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე;

- მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი;

- სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საცდელ-სასელექციო, ექსპერიმენტული, ჯიშთა გამოცდის მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისთვის და რომლებზედაც სამუშაოები ბიუჯეტიდან ფინანსდება;

- მიწისნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება ბიუჯეტიდან დაფინანსებული 60 წლის და მეტი ასაკის პირთა ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატების/თავშესაფრების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა) ან/და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა/მოზარდთა სააღმზრდელო დაწესებულებების ან დღის ცენტრების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) მიერ თავიანთი ძირითადი ფუნქციების შესრულებისთვის; მიწის ნაკვეთები, გამოყენებული ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სოფლებისა და საბავშვო ბაღების მიერ, რომლებიც უსასყიდლოდ ეწევიან ბავშვთა მოვლა-აღზრდას და მათთვის განათლების მიცემას, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისთვის;

- მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება ბიუჯეტიდან დაფინანსებული 60 წლის და 60 წელზე მეტი ასაკის პირთა ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატების/თავშესაფრების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა) ან/და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა/მოზარდთა სააღმზრდელო დაწესებულებების ან დღის ცენტრების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ან დღის ცენტრების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) მიერ თავიანთი ძირითადი ფუნქციების შესრულებისათვის; მიწის ნაკვეთები, გამოყენებული ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სოფლებისა და ადრეული და სკოლა-ამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მიერ, რომ-

ლებიც უსასყიდლოდ ახორციელებენ ბავშვთამოვლა-აღზრდას და მათვის განათლების მიცემას, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელ-ზედაც მისაღები მოსავლის ნახევარზე მეტი განადგურდა სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყრის და სხვა) ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგად, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;

- სამედიცინო საქმიანობისთვის გამოყენებული, სამედიცინო დაწესებულებებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები;
- 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (გარდა მიწისა) და ამ-ავე საქმიანობისთვის მასზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მიწისტრის მიერ დადგენილი წესით ავტორიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (მათ შორის, მიწის ნაკვეთები);
- მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი (მიწის ნაკვეთი);
- თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მდებარე საცხოვრებელ სახლებზე ან/და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი ფართობის ზღვრული ოდენობის ფარგლებში;

დადგენილი საგადასახადო შელავათი არ ვრცელდება პირის მიერ იჯარით, უზუფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით სხვა

პირისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (ან მის ნაწილზე) ან/და საწარმოს/ორგანიზაციის მიერ ამავე ფორმით გადაცემულ შენობა-ნაგებობებზე (ან მათ ნაწილზე).

- თუ დეკლარაციის ნარდგენის ვადის გასვლის შემდეგ პირმა იჯარით, უზუფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გასცა მიწის ნაკვეთი, ამ პირზე საგადასახადო შეღავათი აღარ გავრცელდება. ამასთანავე, პირი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს საანგარიშო წლის ბოლომდე წარუდგინოს დეკლარაცია და გადაიხადოს გადასახადი საგადასახადო მოთხოვნის შესაბამისად.

ამდენად, საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა, არსებული მიწის რესურსები და მდიდარ ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს კარგი მოვლა-პატრონობის პირობებში, შეუძლია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტა, ინვესტორების დაინტერესება და საყოფაცხოვრებო პირობების სათანადო დონემდე აყვანა. ამისათვის საჭიროა:

1. აღდგეს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი; 2. ყოველწლიურად გაკეთდეს მიწის ბალანსი; 3. მიღებული იქნას მიწის კოდექსი; 4. ჩატარდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კონსოლიდაცია.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ნოდარ ჭითანავა „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, თბილისი, 2015 წელი
2. თენგიზ ურუშაძე „საქართველოს ნიადაგები“, თბილისი, 2015 წელი
3. ომარ ქეშელაშვილი „ბიზნესური ეკონომიკა“, თბილისი, 2014 წელი
4. ნაუმ ტურაბელიძე „სადგილმამულო ურთიერთობათა საფუძვლები“, თბილისი, 2009 წელი.
5. ნაუმ ტურაბელიძე, ნელი ბერიძე „მიწის რესურსების მართვა“, თბილისი 2013 წელი.
6. ივანე ჩოლოყაშვილი “საქართველოს სასაზღვრო სივრცე”, თბილისი 2016 წელი
7. აზორ მესხიშვილი, „უძრავი ქონება“, თბილისი, 2011 წელი
8. აზორ მესხიშვილი, „როდემდე ვჯიჯავოთ ქართული მიწა“, თბილისი, 2016 წელი
9. აზორ მესხიშვილი „ჩემო ქართულო მიწავ“ თბილისი 2015 წელი
10. აზორ მესხიშვილი „ფიზიკური პირის — მოქალაქის გადასახადები“, თბილისი, 2011 წელი
11. ალექსანდრე სიჭინავა, პაატა კოლუაშვილი, დავით ეგიაშვილი, აზორ მესხიშვილი „უძრავი ქონების ეკონომიკა“ სახელმძღვანელო, თბილისი, 2013 წელი
12. ჯუმბერ ფანჩულიძე, გიორგი ბუცხრიკიძე „მიწათრეგულირებისა და ადმინისტრირების საფუძვლები“, თბილისი, 2012 წელი.
13. მანანა ხვედელიძე „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი, გეოგრაფიული და პოლიტიკური ასპექტები“, თბილისი, 2000 წელი.
14. თეიმურაზ კანდელაკი „სატყეო მარკეტინგის“, თბილისი, 2010 წელი.

## სარჩევი

ნიერთება .....	3
შესავალი .....	9
საქართველოს გაოგრაფიული მდებარეობა და	
საზღვრები.....	12
საქართველოს მიწის რესურსები.....	15
საქართველოს ნიაზაგები.....	28
გამოყენებული ლიტერატურა .....	46

კომპიუტერული  
უზრუნველყოფა  
ეპა აბზიანიძე

გამომცემელი:  
გამომცემლობა „ივერიონი“

მისამართი: ქ. თბილისი,  
კოსტავას ქ. №6, მე3 სართული.  
ტელეფონი: 2 93 53 22

თბილისი  
2017



## ანზორ მესხიშვილი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ნარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. თბილისის ბოტანიკურ ბაღში, ქ. თბილისის გამწვანების სამმართველოში, საქართველოს ალკეცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სოფლის

მეურნეობის სამინისტროში მთავარი სამართველოს უფროსად, თემრიწყაროს რაიონის აგროსამრენველო გაერთიანების თავმჯდომარედ, საქართველოს მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარი რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის უფროსად.

გეროს ეკონომიკის ეკონომიკური კომისიის კონვენციის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებელი სერთიფიცირებული ექსპერტისა უძრავი ქონების (მინის) საკითხებში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მინების დაცვის კომისიის წევრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული ეკონდინატორია მინათმოწყობის მიმართულებით.

არის უურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ რედაოლეგიის წევრი, შ.პ.ს. პროფესიონალ ეონსულტატორ ჯგუფის მთავარი კონსულტანტი.

არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი, ასზე მეტი სამეცნიერო შრომის, 14 ნიგნის, ერთი სახელმძღვანელოს, მრავალი სტატიის ავტორი.

დაჯილდოებულია საპატიო ნიშნისა და ღირსების ორგენებით, მედლებითა და სიგულებით.